

განმარტავიტი ბარათი
საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე
„სამართო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ
კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს რამოდენიმე სიახლეს, რომელიც გაზრდის სასამართლო ხელისუფლების ეფექტურობას. გათვალისწინებულია ასევე ევროპელი ექსპერტების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები, რაც უდავოდ გაზრდის მოსამართლეთა კორპუსის გავლენას სასამართლო ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესებზე.

შემოთავაზებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის გაზრდა. შემადგენლობის გაზრდა მოხდება ძირითადად მოსამართლეთა დამატებით. დღეისათვის მოსამართლეთა რაოდენობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში სამი წევრით განისაზღვრება. აღსანიშნავია, რომ ეს სამი მოსამართლეს თანამდებობრივად შედის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში. კანონპროექტი ითვალისწინებს იუსტიციის საბჭოში რვა მოსამართლის წევრობას. აქედან მხოლოდ ერთი მოსამართლე – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იქნება თანამდებობრივად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. დანარჩენ შვიდ მოსამართლეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით აირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია. ეს აუცილებლად გამოიწვევს მოსამართლეთა გავლენის ზრდას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტისას. გარდა მოსამართლეებისა, გათვალისწინებულია იუსტიციის საბჭოში თანამდებობრივად საქართველოს გენერალური პროკურორისა და პარლამენტის მიერ არჩეული ერთი წევრის შეყვანა. საბოლოო ჯამში, საბჭოს წევრთა რაოდენობა 16-მდე გაიზრდება და საბჭოს წევრთა ნახევარი მოსამართლეები იქნებიან.

კანონპროექტით გათვალისწინებულია ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მოქცევა სააპელაციო სასამართლოების ერთიან სისტემაში. ორგანული კანონიდან ხდება ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისათვის მიძღვნილი თავის ამოღება. მათი შინაარსი ფაქტიურად იმეორებდა სააპელაციო სასამართლოებისადმი დათმობილი თავის შინაარსს. უნდა აღინიშნოს, რომ მართმსაჯულების განხორციელება არ განეკუთვნება ავტონომიური რესპუბლიკების უფლებამოსილებას და სააპელაციო სასამართლოების შექმნა, მათ შორის ავტონომიების ტერიტორიაზე

სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების მიერ ორგანული კანონით დადგენილი საერთო წესით გადაწყდება.

დღეისათვის არსებული ვითარება გვიჩვენებს, რომ აუცილებელია გაძლიერდეს სასამართლო პროცესებზე და სასამართლოს შენობებში წესრიგის დაცვა. გაზიარებულია მრავალი სახელმწიფოს გამოცდილება და შემოთავაზებულია სასამართლოს მანდატურის ინსტიტუტის შემოღება. სასამართლოს მანდატური დაიცავს წესრიგს სასამართლოში, გაუწევს ორგანიზაციულ დახმარებას მოსამართლეს გარკვეულ საკითხებში, შეასრულებს სასამართლოს თავმჯდომარის, ასევე სხდომის თავმჯდომარის მითითებებს. კანონპროექტით მკაცრად არის მოწესრიგებული სასამართლოს მანდატურის უფლებები და მოვალეობები, მის მიერ ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და სამსახურებრივ-საშტატო იარაღის გამოყენების შემთხვევები და წესი.

სასამართლო მანდატურის სამსახურის შექმნა გამოიწვევს ხარჯებს, რომელიც საქართველოს მთავრობასთან მიღწეული შეტანხმების შესაბამისად, გათვალისწინებულია მომავალი წლის ბიუჯეტში.

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.